



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 დეკემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №391

უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2013 წლის 20 ნოემბრის №1/1-1083 ბრძანების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ნარუჯაში, მე-4 რაიონში, ქუჩა 1-ში, პირველი ჩიხის მე-7 კორპუსში, მე-2 სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული ბინა №8-ს (ფართობი 60.20 კვ.მ) და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:№26.27.08.036.01.008.) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზების მიზნით.“

მუხლი 2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს (პირ.№33001054782).

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ სურგულაძე